ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №2

05 ნოემბერი, 2025 წელი
16:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
ბექა ოდიშარია, არჩილ ნიჟარაძე, გურამ ნიკოლაშვილი, შალვა სუთიაშვილი, თინათინ ნიბლოშვილი, შოთა ქევხიშვილი, ნოდარ ბოკერია, ოთარ ჩრდილელი და გიორგი ქარდავა.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ოდიშარია
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და სამომავლო პროექტების შესახებ.
მომხსენებელი: ბექა ოდიშარია
თანამდებობა: სხდომის თავმჯდომარე
2. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ.
მომხსენებელი: ბექა ოდიშარია
თანამდებობა: სხდომის თავმჯდომარე

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, ბექა ოდიშარია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და სამომავლო პროექტების შესახებ.

როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, საქმიანობის ძირითად ასპექტებსა და კომისიის სამომავლო საქმიანობის მთავარ თემატიკას შეადგენს სამუზეუმო რეფორმა, ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების მოდერნიზება, სკოლების სახელდება, თბილისის მუნიციპალური თეატრების ხარდაჭერა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, პანთეონების მოწყობის/მოპირკეთების საკითხთა აქტუალიზაცია, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისა და სახელოვნებო სკოლების მოდერნიზება და ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება.

როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ სხდომაზე განაცხადა, ის მზად არის კომისიის წევრებთან კოორდინირებულად

ითანამშრომლოს და იმედოვნებს, რომ ეს თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება დედაქალაქისთვის, რაც თავის მხრივ, გამოიხატება მეტი ინოვაციური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების წარმატებით განხორციელებაში.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
ბექა ოდიშარიამ, თინათინ ნიბლოშვილმა.

ბექა ოდიშარიამ ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების (გერბი და დროშა) დამტკიცების მნიშვნელობაზე და მზაობა გამოთქვა ამ პროცესში აქტიურ ჩართულობაზე. ასევე, საუბარი შეეხო საქართველოს განათლების სისტემასა და უმაღლესი განათლების რეფორმას.

თინათინ ნიბლოშვილმა, როგორც წინა მოწვევის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრმა, ახალ წევრებს გააცნო კომისიის ძირითადი მიმართულებები და ინიციატივები, ასევე გაუზიარა საკუთარი გამოცდილება და დეტალურად აუხსნა კომისიის მუშაობის თავისებურებები, რომელიც წლების განმავლობაში დააგროვა. მისი განცხადებით, პროფესიული განათლების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია და ამას მოწმობს ის მხარდაჭერა, რაც 2018 წლიდან ამ მიმართულებით ხორციელდება. ამ მხრივ პროგრამა "ისწავლე და დასაქმდი" ერთ-ერთი წარმატებულ პროექტად ჩამოყალიბდა. პროფესიული განათლების მხარდაჭერისა და პოპულარიზაციისთვის თბილისის საკრებულო და მერია აქტიურად თანამშრომლობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შესაბამის უწყებებთან.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი,** რომელიც შეეხებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრას.

როგორც ბექა ოდიშარიამ აღნიშნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 23-ე მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №3–6 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია კომისიის წევრთაგან განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის.

საკანონმდებლო მოთხოვნიდან გამომდინარე, ბექა ოდიშარიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაასახელა კომისიის წევრი, არჩილ ნიჟარაძის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ ბექა ოდიშარიამ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის არჩილ ნიჟარაძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განსაზღვრის საკითხი.

მომხრე	**8**
წინააღმდეგი	**0**

თავი შეიკავა	**1 (გიორგი ქარდავა)**

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობით დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვროს არჩილ ნიჟარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ოდიშარია